ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 117 / BNL1900197

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი
CON190000285)

ქ. თბილისი **15 ივლისი 2019 წელი**

ერთი მხრივ ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (ს/კ:445393510, შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორი - მამუკა შამილიშვილის სახით და მეორე მხრივ სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ (ს/კ 404526777; შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნინო კობახიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2019 წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის №2304 განკარგულების საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON190000285) (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე და მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
1.2. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;
1.3. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით ან/და სატენდერო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
1.4. შემსყიდველი/დამზღვევი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას ხელშეკრულებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პირობებით, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. შემსყიდველი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებას აზღვევს მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;
1.5. მიმწოდებელი/მზღვეველი - იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პირობების შესაბამისად;
1.6. მომსახურება - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7. სატენდერო კომისია – „2019 წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 04 დეკემბრის №2304 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია;
1.8. სატენდერო დოკუმენტაცია - სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON190000285) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას
და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
1.9. დაზღვევა – ურთიერთობა, რომელიც მყარდება შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ქონებრივი და ჯანმრთელობის ინტერესების დასაცავად;
1.10. დამზღვევი – შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელიც აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას მიმწოდებელთან და იღებს მისგან სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურებას;
1.11. მზღვეველი - მიმწოდებელი, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ;

1.12. მოსარგებლე - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულების, სატენდერო დოკუმენტაციის პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას;
1.13. შემთხვევა (სადაზღვევო რისკი) - შემთხვევა, როდესაც ზიანი მიადგა დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებას, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობას ან დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას დამზღვევს წარმოეშვა პასუხისმგებლობა მესამე პირის მიმართ;
1.14. სადაზღვევო შემთხვევა – შემთხვევა, რომლის დადგომის შედეგად, მზღვეველის მიერ შესაბამისი დადასტურების/აღიარების შემდეგ წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და რომელიც დასტურდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის ხელმოწერილი სადაზღვევო შემთხვევის აქტით;
1.15. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურება (შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად ქცევა, სადაზღვევო აღიარება) - მზღვეველის აღიარება იმის შესახებ, რომ მომხდარი შემთხვევის ხდომილების შედეგად მას წარმოეშვა ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
1.16 სადაზღვევო პოლისი - თითოეული სატრანსპორტო საშუალებისათვის მზღვეველის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის არსებობას და ასახავს სადაზღვევო ხელშეკრულების ძირითად პირობებს. სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
1.17. სადაზღვევო თანხა (ლიმიტი) - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ჯამური ოდენობა, რომელიც განისაზღვრება დაზღვევის თითოეული სახეობისთვის ცალ-ცალკე. სატრანსპორტო საშუალების ძარის დაზღვევის შემთხვევაში (A) სადაზღვევო თანხა შეესაბამება თითოეული ავტომობილის საბალანსო ღირებულებას, ხოლო მძღოლის და მგზავრების ჯანმრთელობისა (C) და მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის (B) დაზღვევის შემთხვევაში - სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტისა და IV ნაწილის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ოდენობებს;
1.18. სადაზღვევო ანაზღაურება - ანაზღაურება, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გასცემს მზღვეველი სატენდერო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
1.19. სადაზღვევო შემთხვევის აქტი - სადაზღვევო ანაზღაურების პირობების შესახებ დაზღვეულსა და მზღვეველს შორის მიღწეული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.20. სადაზღვევო პრემია - დამზღვევის მიერ გადასახდელი დაზღვევის საფასური/ღირებულება, რომელიც წარმოადგენს მზღვეველის მიერ გასაწევი სადაზღვევო მომსახურების საფასურს. სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრულია ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით. სადაზღვევო პრემიის ოდენობა მითითებულია სადაზღვევო ხელშეკრულებასა და სადაზღვევო პოლისში;
1.21. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;
1.22. გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;
1.23. სადაზღვევო პერიოდი - ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;
1.24. სატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულება - დაზღვევის ხელშეკრულებაში დამზღვევის მიერ მითითებული საბალანსო ღირებულება - სადაზღვევო თანხა (საბალანსო ღირებულება დაზღვევის მომენტისათვის მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული საბაზრო ღირებულებასთან). აღნიშნული ღირებულების საფუძველზეც მოხდება სადაზღვევო პრემიისა და დაზღვევის პერიოდში ნებისმიერ მომენტში გასაცემი შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურების გამოანგარიშება;
1.25. საბაზრო ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღეს ნებისმიერი ქონების, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების ან მისი რომელიმე ნაწილის მსგავსი მახასიათებლების მქონე ქონების ღირებულება საქართველოს ბაზარზე;
1.26. აღდგენის ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ან სხვა ქონების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე მიყვანის მიზნით (აღსადგენად) საჭირო სამუშაოების, აუცილებელი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების საბაზრო ღირებულება;
1.27. დაზღვევის ტერიტორია - ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ძალაშია ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის პირობები;
1.28. დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება - ხელშეკრულებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშულება, რომელზედაც ვრცელდება დაზღვევა სატენდერო დოკუმენტაციითა და დაზღვევის ხელშეკრულების პირობებით;
1.29. უფლებამოსილი მძღოლი - (შემდგომში - მძღოლი) შესაბამისი მართვის მოწმობის მქონე დამზღვევი

ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი ან შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დამზღვევის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი მართვის მოწმობა;
1.30. მგზავრი - ფიზიკური პირი, რომელიც ზის ან მგზავრობს დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებით;
1.31. მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირ(ებ)ი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და ქონებას მიადგა ზიანი და რომლის მიმართაც დაზღვეულს შესაძლოა წარმოეშვას ან წარმოეშვა სამოქალაქო პასუხისმგებლობა; მესამე პირი არ არის დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრი და მძღოლი;
1.32. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა – გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას და მისივე მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება ან ნაგებობა;
1.33. დეფექტური აქტი - დოკუმენტი, სადაც თავმოყრილია ავტოსატრანსპორტო საშუალების აღსადგენად საჭირო ნაწილებისა და ხელობის ჩამონათვალი. აღნიშნულ აქტში ასევე მითითებულია საჭირო დეტალებისა და ხელობის ღირებულებები და მათი დეტალური ფასები.

2. ხელშეკრულების საგანი და ძირითადი პირობები

2.1. ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ, შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე არსებული სატრანპორტო საშუალებების დაზღვევის (თანდართული დაზღვევის პირობების, დანართი N1-ის და დანართი N2- ის შესაბამისად) მომსახურების გაწევა (CPV კოდი: 66500000; 66514110) სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე გამოქვეყნებული CON190000285 სატენდერო დოკუმენტაციით, მიმწოდებლის სატენდერო წინადადებითა და ტარიფებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულებისსაორიენტაციო ღირებულებაა 131.54 (ასოცდათერთმეტი ლარი და 54 თეთრი) ლარი.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3. ავტომობილის დაზღვევა ხორციელდება საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, იმ შემთხვევაში თუ ავტომობილის საბალანსო ღირებულება შეიცვლება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მზღვეველთან შეთანხმებით მოახდინოს შესაბამისი ცვლილება და გაზრდილი ან შემცირებული ღირებულების შესაბამისად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია და მიიღოს ანაზღაურება.
3.4. საბალანსო ღირებულება დაზღვევის მომენტისათვის მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული საბაზრო ღირებულებასთან. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა 10%-ით ან/და მეტით ნაკლებია დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, მაშინ, მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების (საბაზრო ღირებულების) შეფარდების შესაბამისად.
3.5 დასაბუთებული საჭიროებიდან გამომდინარე, დამზღვევის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის სადაზღვევო სიაში დამატება ან ამოღება. დამზღვევი უფლებამოსილია მოახდინოს ახალი სატრანსპორტო საშუალების დაზღვევა სატანდერო პირობების შესაბამისად, შემსყიდველის წერილობითი ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეტყობინების საფუძველზე.
3.6 სატრანსპორტო საშუალებებისთვის დაზღვევის შეწყვეტის შემთხვევაში, დაზღვევის გაუქმების მომენტიდან დარჩენილი სადაზღვევო პრემია აღარ იქნება დამზღვევის მიერ გადახდილი და ის ჩაითვლება ,,გამოუმუშავებულ პრემიად“. დამატებით სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის შემთხვევაში, პრემია დაითვლება დარჩენილ პერიოდზე;
3.7 სრული განადგურების (ტოტალის) შემთხვევაში, დამზღვევი სადაზღვევო პრემიას იხდის ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო ვადის ბოლომდე. იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებზეც დამდგარია ნაწილობრივი ზარალი და დამზღვევის მიერ ამოღებული იქნება სადაზღვევო სიიდან, დაზღვევის გაუქმების მომენტიდან დარჩენილი სადაზღვევო პრემია აღარ იქნება დამზღვევის მიერ გადახდილი და ის ჩაითვლება ,,გამოუმუშავებულ პრემიად“;
3.8 დამატებითი დასაზღვევი ან/და სადაზღვევო სიიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებისთვის პრემიის ოდენობა გამოთვლილი იქნება დღიური პროცენტის მიხედვით, რომელიც დაანგარიშდება, პრეტენდენტის მიერ

წარმოდგენილი დღიური პროცენტის ფაქტობრივ დღეებზე გადაანგარიშების გზით.

4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების გაწევის ადგილია საქართველოს მთელი ტერიტორია.
4.2. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღის 24:00 საათიდან არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრის 24:00 საათამდე.
4.3. დაზღვევის პერიოდი: ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღის 24:00 საათიდან არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრის 24:00 საათამდე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) სადაზღვევო მომსახურება გაუწიოს შემსყიდველ ორგანიზაციებს კონსოლიდირებული ტენდერით განსაზღვრული პირობებითა და ფასით;
ბ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;
გ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო კომპანიამ არ უნდა გამოიყენოს რეგრესის უფლება ერთი და იმავე შემსყიდველი ორგანიაციის ერთი და იმავე საიდენტიფიკაციო კოდის მქონე შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლის მიმართ;
დ) დაზღვევის დამადასტურებლად თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გასცეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;
ე) სრული კონტროლი გაუწიოს დამზღვევის მიმართ მესამე პირთა პრეტენზიის მოგვარებისათვის საჭირო კანონით გათვალისწინებულ სახის პროცედურებს;
ვ) განიხილოს და სადაზღვევო შემთხვევის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი მომსახურება გაწიოს ნებისმიერ შემთხვევაზე, რომელიც მოხდა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად მომსახურების გაწევისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობისა;
ზ) განახორციელოს სატრანსპორტო საშუალების დაზღვევა: სრული განადგურების შემთხვევაში - 0% ფრანშიზით, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში - 0% ფრანშიზით;
თ) მომხდარი შემთხვევის განხილვის მიზნით, სამართალდამცავი ორგანიებისა თუ სხვა მესამე პირებისაგან გონივრულ ვადაში მოიპოვოს ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის დეფექტური აქტი და აღნიშნულიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში აღიაროს შემთხვევა, როგორც სადაზღვევო შემთხვევა და შეადგინოს აქტი ზარალის ანაზღაურების შესახებ (სადაზღვევო შემთხვევის აქტი), ან დასაბუთებული უარი განაცხადოს აღიარებაზე. აქტი ზარალის ანაზღაურების შესახებ დამოწმებული უნდა იყოს მზღვევლისა და დამზღვევის ხელმოწერით;
ი) სადაზღვევო ანაზღაურების გადარიცხვა შესაბამისი სერვისცენტრის ანგარიშზე განახორციელოს მზღვეველსა და დამზღვევს შორის გაფორმებული სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;
კ) უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის მომეტების აღმოსაფხვრელად გასცეს ანაზღაურება გონივრულ ვადაში; ხოლო მესამე პირის წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის დადასტურების შემდგომ, გასცეს ანაზღაურება მესამე პირის სასარგებლოდ, მასთან შეთანხმებული ვადისა და ოდენობის (ლიმიტის ფარგლებში) გათვალისწინებით, ისე რომ მაქსიმალურად იქნეს აცილებული მესამე პირის რაიმე პრეტენზია დამზღვევის მიმართ;
ლ) თუ დამზღვევსა (დაზღვეულს) და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარი შემთხვევის გამო, მზღვეველი აანაზღაურებს ზარალს სასამართლო გადაწყვეტილების (დაზღვეულის/უფლებამოსილი მძღოლის/ მიერ მესამე პირისათვის (პირებისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) კანონიერ ძალაში შესული გადაწვეტილების წარმოდგენის მომენტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულ შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია ანაზღაურება გასცეს სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დადგენილი პირობებისა და ოდენობით სადაზღვევო პოლისის ფარგლებში. ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად სცნობს სარჩელს ან მის ნაწილს მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე ან მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება;
მ) იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება შესაბამისი მარკის სერვის-ცენტრში, ხოლო

იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც არ ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებულ შემკეთებელ სერვის-ცენტრ(ებ)ში;
ნ) დაზღვევის შეწყვეტამდე 30 დღით ადრე წერილობით შეატყობინოს დაზღვეულს სადაზღვევო მომსახურების გაუქმების თაობაზე და მხოლოდ ამის შემდგომ განახორციელოს ხელშეკრულების შეწყვეტა;
ო) უზრუნველყოს 24 საათიანი ასისტანსი;
პ) განახორციელოს სატენდერო დოკუმენტაციით, „დაზღვევის პირობებითა“ და ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) არ განახორციელოს დაზღვევის მომსახურების გაწევა დამზღვევის მიერ ხელშეკრულებით და „დაზღვევის პირობებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესუსრულებლობისას, მათ შორის, დასაზღვევო პრემიის გადაუხდელობისას;
ბ) იმ შემთხვევაში თუ აანაზღაურა ზიანი, გამოიყენოს რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების ოდენობის ფარგლებში, გარდა წინამდებარე მუხლის 5.1 პუნქტის გ. ქვეპუნქტისა;
გ) სადაზღვევო შემთხვევის საფუძველზე ანაზრაურებული ზიანის თანხა გამოაკლოს შესაბამისი (A), (B) და (C) სექციის ლიმიტ(ებ)ს;
დ) საჭიროების შემთხვევაში და ურთიერთშეთანხმებით, დამზღვევის (დაზღვეულის, მოსარგებლის) თანხმობით, მისი სახელით თავის თავზე აიღოს მისი უფლებების დაცვა ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში და მიიღოს სათანადო დოკუმენტაცია და უფლებამოსილება;
ე) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩვროს დამზღვევის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა;
ვ) მოთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით, სატენდერო დოკუმენტაციითა და „დაზღვევის პირობებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებისას, დასაზღვევი ავტომობილებისა და ავტომობილების დამატებითი აღჭურვილობის (სამედიცინო, საპოლიციო ან სხვა მოწყობილობები, შესაბამისი ღირებულებების მითითებით) შესახებ მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია;
ბ) გადაიხადოს სადაზღვევო პრემია წინამდებარე ხელშეკრულებით, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ვადებში;
გ) შემთხვევის (სადაზღვევო რისკის) დადგომისას, იმოქმედოს „დაზღვევის პირობების“ I ნაწილის, მე-3 მუხლის შესაბამისად;
დ) შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;
ე) აცნობოს მზღვეველს სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის, განცხადების პრეტენზიის ან/და იურიდიული პროცედურის თაობაზე;
ვ) არ აღიაროს საკუთარი პასუხისმგებლობა და არ გასცეს პირობა ზიანის კომპენსაციაზე მიმწოდებელის (მზღვეველის) თანხმობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი (მზღვეველი) უფლებამოსილია მოიხსნას ნაკისრი პასუხიმგებლობა;
ზ) არ დაიწყოს ავტოტრანსპორტის შეკეთება მიმწოდებლის (მზღვეველის) თანხმობის გარეშე;
თ) შეატყობინოს მიმწოდებელს (მზღვეველს) უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისათვის;
ი) დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს (მზღვეველს) ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის პირობებში ნებისმიერი არსებითი ცვლილების შესახებ, მათ შორის:
ი.ა) სხვა პირისათვის სარგებლობაში, მფლობელობაში, საკუთრებაში ან მინდობილ საკუთრებაში გადაცემა;
ი.ბ) აღრიცხვიდან მოხსნა ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში სათანადო წესით გადაფორმება;
ი.გ) ტექნიკური პასპორტის, რეგისტრაციის მოწმობის, სანომრე ნიშნის შეცვლა ან დაკარგვა;
კ) დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს (მზღვეველს) სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის განაცხადში ან საიდენტიფიკაციო მონაცემებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ;
ლ) უზრუნველყოს მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
მ) მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, რომელი გარემოებების გათვალისწინებითაც შემსყიდველი ორგანიზაცია მიიჩნევს მიზანშეწონილად ხელშეკრულების შეწყვეტას,

მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. აღნიშნულ შემთხვევაში სატენდერო კომისია, უფლებამოსილია იმსჯელოს ტენდერის მთლიანად ან მისი ნაწილობრივი შეწყვეტის თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

ნ) იმ შემთხვევაში თუ დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული, აღნიშნულის თაობაზე განახორციელოს მზღვეველის ინფორმირება და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, დაზღვეულის ინტერესის რამოდენიმე მზღვეველთან აღმოჩენის შემთხვევაში, დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან და სადაზღვევო თანხები ჯამში საბაზრო ღირებულებას აჭარბებს, მზღვეველები დამზღვევის წინაშე ვალდებულნი არიან, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია დამზღვევთან გაფორმებულ შესაბამის დაზღვევის ხელშეკრულებაში, მაგრამ დამზღვევს არ აქვს უფლება მიიღოს ჯამში სადაზღვევო თანხაზე მეტი თანხა;

ო) განახორციელოს სატენდერო დოკუმენტაციით, „დაზღვევის პირობებითა“ და ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით და ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით;

ბ) მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით, სატენდერო დოკუმენტაციითა და „დაზღვევის პირობებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული სადაზღვევო მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6.2 შემსყიდველის (დამზღვევის) მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის (დამზღვევის) მოთხოვნათა შესაბამისად.

6.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან გამოყოფილი იქნება შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

6.4 შემსყიდველის (დამზღვევის) შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხოდ გაწეული სადაზღვევო მომსახურება, მიმწოდებელი (მზღვეველი) ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების დარღვევით გაწეული მომსახურების ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

6.6 მომსახურების მიღება წარმოებს ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება თვეში ერთხელ, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გაწეულ მომსახურებაზე დაყრდნობით, თუ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.4. პირველ გადახდამდე მზღვეველი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყობის გარანტია
(წინამდებარე მუხლი ხელშეკრულებით განისაზღვრება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5000 ლარს)

9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს, CON190000285 ტენდერის მოთხოვნათა დაცვით, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
9.2. უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში, ლარში და გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს არაუადრეს 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით.
9.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიაში არ უნდა იყოს მითითებული, რომ გარანტია მცირდება შესრულების პროპორციულად.
9.4. თუკი მომსახურების გაწევის ვადის გასვლიდან 2020 წლის 31 მარტამდე მზღვეველს შესრულებული აქვს ყველა ვალდებულება, იგი უფლებამოსილია შემსყიდველი ორგანიზაციიდან გამოითოვოს საბანკო გარანტია.
9.5. ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაუბრუნოს საბანკო გარანტია მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან/და ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში, „მხარეებს“ ეკისრება „პირგასამტეხლო“ შეუსრულებელი ვალდებულების 0.2 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.
10.2. „პირგასამტეხლოს“ გადახდა უნდა განხორციელდეს „მხარის“ მიერ მეორე „მხარისადმი“ გაგზავნილ შესაბამის შეტყობინებაში მითითებული ვადიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.
10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭრბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია დააყენოს საკითხი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვის მიმწოდებელს ვადაგადაცილებულ დღეებზე დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა;
10.4. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, რომელი გარემოებების გათვალისწინებითაც შემსყიდველი ორგანიზაცია მიზანშეწონილად მიიჩნევს ხელშეკრულების შეწყვეტას, მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. აღნიშნული შემთხვევაში სატენდერო კომისია, უფლებამოსილია იმსჯელოს ტენდერის მთლიანად ან მისი

ნაწილობრივი შეწყვეტის თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.
10.5. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა:
ა) ხელშეკრულებ(ებ)ზე, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიას - ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით;
ბ) ხელშეკრულებ(ებ)ზე, რომელიც არ ითვალისწინებს ხელშეკრულების უზრუნველუოფის გარანტიას - ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;
გ) თუ მიმწოდებელს შემსყიდველ ორგანიზაციაში წარდგენილი აქვს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, მას ჩამოერთმევა აღნიშნული საბანკო გარანტია.
10.6. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
11.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.
14.3 მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს (მზღვეველს) და ერთი რჩება შემსყიდველთან (დამზღვევს).
15.2 ხელშეკრულების ყველა დანართი და სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“

მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42
საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ა/ნ 740737005

მიმწოდებელი:

სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია
მის: ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას #5
სს ,,თიბისი ბანკი“
ა/ა GE07 TB70 8983 6020 1000 08
ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 404526777

„დაზღვევის პირობები“

დანართი N1

დანართი N2



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების 2019 წლის

კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

ტერმინთა განმარტებები

დაზღვევა – ურთიერთობა, რომელიც მყარდება შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ქონებრივი და ჯანმრთელობის ინტერესების დასაცავად;

დამზღვევი – შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელიც აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას მიმწოდებელთან და იღებს მისგან წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურებას;

მზღვეველი - მიმწოდებელი, რომელიც წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ;

მოსარგებლე - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას;

შემთხვევა (სადაზღვევო რისკი) - შემთხვევა, როდესაც ზიანი მიადგა დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებას, დაზღვეული სატრანსორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობას ან დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას დამზღვევს წარმოეშვა პასუხისმგებლობა მესამე პირის მიმართ;

სადაზღვევო შემთხვევა – შემთხვევა, რომლის დადგომის შედეგად, მზღვეველის მიერ შესაბამისი დადასტურების/აღიარების შემდეგ წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და რომელიც დასტურდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის ხელმოწერილი სადაზღვევო შემთხვევის აქტით;

სადაზღვევო შემთხვევის დადასტურება (შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად ქცევა, სადაზღვევო აღიარება) - მზღვეველის აღიარება იმის შესახებ, რომ მომხდარი შემთხვევის ხდომილების შედეგად მას წარმოეშვა ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

სადაზღვევო ხელშეკრულება - წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე და მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

სადაზღვევო პოლისი - თითოეული სატრანსპორტო საშუალებისათვის მზღვეველის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის არსებობას და ასახავს სადაზღვევო ხელშეკრულების ძირითად პირობებს;

სადაზღვევო თანხა (ლიმიტი) - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ჯამური ოდენობა, რომელიც განისაზღვრება დაზღვევის თითოეული სახეობისთვის ცალ-ცალკე.
სატრანსპორტო საშუალების ძარის დაზღვევის შემთხვევაში (A) სადაზღვევო თანხა შეეესაბამება თითოეული ავტომობილის საბალანსო ღირებულებას, მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის (B) დაზღვევის შემთხვევაში - წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ოდენობებს, ხოლო მძღოლის და მგზავრების ჯანმრთელობის (C) დაზღვევის შემთხვევაში - წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციი IV ნაწილის 1-ლი მუხლის მე- 2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ოდენობებს;

სადაზღვევო ანაზღაურება - ანაზღაურება, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გასცემს მზღვეველი წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

სადაზღვევო შემთხვევის აქტი - სადაზღვევო ანაზღაურების პირობების შესახებ დაზღვეულსა და მზღვეველს შორის მიღწეული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

სადაზღვევო პრემია - დამზღვევის მიერ გადასახდელი დაზღვევის საფასური/ღირებულება, რომელიც წარმოადგენს მზღვეველის მიერ გასაწევი სადაზღვევო მომსახურების საფასურს. სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრულია წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით. სადაზღვევო პრემიის ოდენობა მითითებულია სადაზღვევო ხელშეკრულებასა და სადაზღვევო პოლისში;

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

სადაზღვევო პერიოდი - ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

სატრანსორტო საშუალების საბალანსო ღირებულება - დაზღვევის ხელშეკრულებაში დამზღვევის მიერ მითითებული საბალანსო ღირებულება - სადაზღვევო თანხა (საბალანსო ღირებულება დაზღვევის მომენტისათვის მაქსიმალურად უნდა იყოს

მიახლოებული საბაზრო ღირებულებასთან), მაგრამ არანაკლებ საბაზრო ღირებულების 90%-ისა). აღნიშნული ღირებულების საფუძველზეც მოხდება სადაზღვევო პრემიისა და დაზღვევის პერიოდში ნებისმიერ მომენტში გასაცემი შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურების გამოანგარიშება;

საბაზრო ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღეს ნებისმიერი ქონების, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების ან მისი რომელიმე ნაწილის მსგავსი მახასიათებლების მქონე ქონების ღირებულება საქართველოს ბაზარზე;

აღდგენის ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სატრანსორტო საშუალების ან სხვა ქონების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე მიყვანის მიზნით (აღსადგენად) საჭირო სამუშაოების, აუცილებელი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების საბაზრო ღირებულება;

დაზღვევის ტერიტორია - ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ძალაშია ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის პირობები;

დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება - ხელშეკრულებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშულება, რომელზედაც ვრცელდება დაზღვევა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციითა და დაზღვევის ხელშეკრულების პირობებით;

უფლებამოსილი მძღოლი - (შემდგომში - მძღოლი) შესაბამისი მართვის მოწმობის მქონე დამზღვევი ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი ან შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დამზღვევის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი მართვის მოწმობა;

მგზავრი - ფიზიკური პირი, რომელიც ზის ან მგზავრობს დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებით;

მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირ(ებ)ი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და ქონებას მიადგა ზიანი და რომლის მიმართაც დაზღვეულს შესაძლოა წარმოეშვას ან წარმოეშვა სამოქალაქო პასუხისმგებლობა; მესამე პირი არ არის დაზღვეული სატრანსორტო საშუალების მგზავრი და მძღოლი;

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა – გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას და მისივე მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება ან ნაგებობა;

დეფექტური აქტი - დოკუმენტი, სადაც თავმოყრილია ავტოსატრანსპორტო საშუალების აღსადგენად საჭირო ნაწილებისა და ხელობის ჩამონათვალი. აღნიშნულ აქტში ასევე მითითებულია საჭირო დეტალებისა და ხელობის ღირებულებები და მათი დეტალური ფასები.

ნაწილი I

ზოგადი პირობები

მუხლი 1. სადაზღვევო რისკები

წინამდებარე კონსოლიდირებული ტენდერით განსაზღვრული სადაზღვევო რისკებია:
ა) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;
ბ) სატრანსორტო საშუალების ან მისი ცალკეული ნაწილების დაკარგვა ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, გატაცების ან ქურდობის/გატაცების/ძარცვის/ყაჩაღობის მცდელობის შედეგად;
გ) ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზემოქმედება, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, გრიგალი, ქარიშხალი, ღვარცოფი, მეხის დაცემა, მეწყერი და სეტყვა;
დ) აალება, აფეთქება, ხანძარი, რაიმე საგნის ვარდნა/დაცემა/მოხვედრა, ვანდალიზმი;

მუხლი 2. საერთო გამონაკლისები

მზღვეველი უფლებამოსილია არაანაზღაუროს:

ა) შემთხვევა თუ ზარალი დადგა დაზღვეული სატრანსორტო საშუალების მართვისას არაუფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) შემთხვევა, რომელიც მოხდა სატრანსორტო საშუალების მართვისას მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს, მიუხედავად იმისა ზარალი უფლებამოსილი მძღოლის ბრალით დადგა თუ მის გარეშე;

გ) ზარალი, რომელიც გამოწვეულია დამზღვევის მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული განზრახი ქმედებით, მათ შორის ისეთი შემთხვევა, როდესაც დამზღვევი განზრახ გამოიწვევს სადაზღვევო შემთხვევას ან რაიმე ხერხით გააყალბებს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ რაიმე დოკუმენტაციას;

დ) დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის მიერ სისხლის სამართლის კანონდებლობით გათვალისწინებული განზრახ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, როდესაც სატრანსპორტო საშუალება გამოყენებულია სისხლის სამართლის დანაშაულის იარაღად;

ე) შემთხვევა, რომელიც ითვალისწინებს უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობას ან მის მცდელობას, გარდა მგზავრებისა და მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევისა;

ვ) შემთხვევა, რომელიც ითვალისწინებს ულებამოსილი მძღოლის ისეთ განზრახ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას.

ზ) შემთხვევა, თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით;

თ) დაზიანებული ქონების შეკეთების შედეგად მისი საბაზრო ღირებულების შემცირების ხარჯები;

ი) ზარალი, თუ დამზღვევის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულებაში მითითებული რომელიმე ინფორმაცია (სატრანსორტო საშუალების, დამზღვევის და უფლებამოსილი მძღოლების შესახებ) აღმოჩნდება არაზუსტი, გარდა ტექნიკური შეცდომისა, რომელიც არ ზრდის რისკის მოცულობას.

კ) შემთხვევა, რომლის დროსაც დამზღვევის მხარე ან/და მოსარგებლე უარს განაცხადებს მზღვეველისათვის რეგრესული უფლების მოთხოვნის გადაცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა დამზღვევის მხარის ან/და მოსარგებლის ქმედებით;

ლ) ზარალი, რომელიც წარმოიშვა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

მ) ზარალი, რომელიც წარმოიშვა თუ დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება მონაწილეობდა ნებისმიერი სახის რბოლაში;

ნ) შემთხვევა, თუ დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების მახასიათებლები არ ემთხვევა დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების VIN კოდის შესაბამის მონაცემებს, გარდა ტექნიკური ხარვეზისა;

ო) მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა დადგა უხეში გაუფრთხილებლობით.

პ) შემთხვევა, თუ დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება გადატვირთული იყო, ან მგზავრების რაოდენობა აღემატებოდა მწარმოებლის მიერ დასაშვებს და სწორედ ამან გამოიწვია სადაზღვევო შემთხვევა;

ჟ) ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია მესამე პირის, მგზავრებისა და მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან/გარდაცვალებასთან სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდგომ;

რ) ნებისმიერი ხასიათის მორალური ზიანი;

ს) მიმწოდებელი (მზღვეველი) უფლებამოსილია მოიხსნას ნაკისრი პასუხიმგებლობა, თუ შემსყიდველი აღიარებს საკუთარ პასუხისმგებლობას და გასცემს პირობას ზიანის კომპენსაციაზე მიმწოდებელის (მზღვეველის) თანხმობის გარეშე;

ტ) დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო ხარჯები;

უ) შედეგებზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, დაპყრობით, სამოქალაქო ომით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, მასობრივი არეულობით, აჯანყებით, ლოკაუტით, დიქტატორული რეჟიმით, ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემით, კონფისკაციით ან ჩამორთმევით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლენით და სხვა ანალოგიური მიზეზებით;

ფ) იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით და დაბინძურებით; რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით; ატომური, ბირთვული, რადიაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო და ფეთქებადი ნივთიერების ტრანსპორტირებით.

მუხლი 3. შემთხვევის დადგომის შემდგომ მოქმედების გეგმა

1. დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების დაზიანების, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების უფლებამოსილი მძღოლებისა და მგზავრების ზიანის ან/და დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებით მესამე პირებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ან დამზღვევის უფლებამოსილი სხვა პირი შემთხვევის შესახებ შეტყობის შემდეგ ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და მზღვეველს. იგი ვალდებულია შეტყობინება დატოვოს 24 საათიან საინფორმაციო სამსახურის ნომერზე +995 32 2500001 , ასევე საპატრულო პოლიციის ან გადაუდებელი დახმარების ნომერზე (112), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზარის განხორციელება შეუძლებელია ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე;

2. მზღვეველი უფლებამოსილია, არ მიავლინოს წარმომადგენელი შემთხვევის ადგილზე და მხოლოდ სატელეფონო ინსტრუქტაჟით შემოიფარგლოს. აღნიშნული ინსტრუქტაჟი სავალდებულოა დამზღვევისთვის;

3. მზღვეველის საინფორმაციო სამსახურთან დაკავშირების შემდეგ, შემთხვევის ადგილზე გადის ზარალების რეგულირების ექსპერტი ან/და მენეჯერი, რომელიც ვალდებულია დაათვალიეროს არსებული დაზიანებები, მათ შორის - მესამე პირები და მოიძიოს ყველა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია შემთხვევასთან დაკავშირებით. თუ მზღვეველის წარმომადგენლის გამოცხადება შემთხვევის ადგილზე გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია ან გამოცხადებისათვის საჭიროა 1 საათი ან მეტი ან მზღვეველის გადაწყვეტილებით გამოცხადება არ არის მიზანშეწონილი, მზღვეველი მხოლოდ სატელეფონო ინსტრუქტაჟით შემოიფარგლება. აღნიშნულ შემთხვევაში, დამზღვევი უფლებამოსილია არ დაელოდოს მზღვეველის წარმომადგენლის გამოცხადებას, მასთან გაიაროს სატელეფონო ინსტრუქტაჟი და საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით გადაიყვანოს დაზღვეული დაზიანებული სატრანსპორტო საშუალება შემთხვევის ადგილიდან. ასეთ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადასტურდა, სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანის ხარჯებს გაიღებს მზღვეველი, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, თუმცა დამზღვევს რჩება ვალდებულება უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შენარჩუნება ისეთ მდგომარეობაში, რომ თავიდან აცილებულ იქნას ზიანის ოდენობის შემდგომი ზრდა;

4. დამზღვევი ვალდებულია მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა, დაზღვევის ინტერესის გადასარჩენად ან/და ზიანის მოცულობის შესამცირებლად, მზღვეველის წარმომადგენლის შემთხვევის ადგილზე მისვლამდე უზრუნველყოს მდგომარეობის შენარჩუნება უცვლელად, ობიექტური შესაძლებლობებისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის საწინააღმდეგო მითითება მიიღო მზღვეველის (ზეპირი/სატელეფონო ინსტრუქციით) ან/და სამართალდამცავთა მითითებით ან საჭიროა დაზარალებულ პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

5. თუ შემთხვევის შემდეგ სატრანსპორტო საშუალება გადაადგილდება და ამავდროულად გადაადგილება არ გამოიწვევს რაიმე სახის ზიანს, დაზღვეული მზღვეველთან შეთანხმებით უფლებამოსილია გააგრძელოს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია, ხოლო თუ სატრანსპორტო საშუალება ვერ გადაადგილდება ან მისი გადაადგილება გამოიწვევს რაიმე სახის ზიანს, სატრანსპორტო საშუალების გადაყვანა ხორციელდება სერვის-ცენტრში ან/და საპატრულო პოლიციის გადაწყვეტილებით - საჯარიმო სადგომზე;

6. დამზღვევი ვალდებულია, დოკუმენტების მოპოვების მიზნით, გასცეს შესაბამისი მინდობილობა მზღვეველზე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში). ამასთანავე,

დამზღვევი ვალდებულია, თავად წარმოადგინოს ის დოკუმენტ(ებ)ი, რომლის მოსაპოვებლადაც მან არ გასცა შესაბამისი მინდობილობა;

7. შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად აღიარებისათვის საჭირო დოკუმენტებია:

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სქემა;
- მძღოლების ახსნა-განმარტებები;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ან პატაკი;
- მძღოლის სიმთვრალე-სიფხიზლეზე შემოწმების ოქმი;
- საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილების (დადგენილების) ასლი;
- საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა დაკავშირებული დოკუმენტები.

8. თუ სადაზღვევო შემთხვევაში მონაწილეობას იღებდა წინამდებარე ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში დაზღვეული ორი ან ორზე მეტი სატრანსპორტო საშუალება, თითოეული მათგანი უნდა განიხილებოდეს ინდივიდუალურად, ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს მათი პოლისებით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში და მოცემული სატრანსპორტო საშუალებები არ უნდა იქნას განხილული როგორც მესამე პირი.

მუხლი 4. სადაზღვევო სიაში სატრანსპორტო საშუალებების ჩამატება/ამოღება

1. დასაბუთებული საჭიროებიდან გამომდინარე, დამზღვევის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის სადაზღვევო სიაში დამატება ან ამოღება. დამზღვევი უფლებამოსილია მოახდინოს ახალი სატრანსპორტო საშუალების დაზღვევა სატანდერო პირობების შესაბამისად, შემსყიდველის წერილობითი ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეტყობინების საფუძველზე;

2. სატრანსპორტო საშუალებებისთვის დაზღვევის შეწყვეტის შემთხვევაში, დაზღვევის გაუქმების მომენტიდან დარჩენილი სადაზღვევო პრემია აღარ იქნება დამზღვევის მიერ გადახდილი და ის ჩაითვლება ,,გამოუმუშავებულ პრემიად". დამატებით სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის შემთხვევაში, პრემია დაითვლება დარჩენილ პერიოდზე;

3. სრული განადგურების (ტოტალის) შემთხვევაში, დამზღვევი სადაზღვევო პრემიას იხდის ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო ვადის ბოლომდე. იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებზეც დამდგარია ნაწილობრივი ზარალი და დამზღვევის მიერ ამოღებული იქნება სადაზღვევო სიიდან, დაზღვევის გაუქმების

მომენტიდან დარჩენილი სადაზღვევო პრემია აღარ იქნება დამზღვევის მიერ გადახდილი და ის ჩაითვლება ,,გამოუმუშავებულ პრემიად";

4. დამატებითი დასაზღვევი ან/და სადაზღვევო სიიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებისთვის პრემიის ოდენობა გამოთვლილი იქნება დღიური პროცენტის მიხედვით, რომელიც დაანგარიშდება, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დღიური პროცენტის ფაქტობრივ დღეებზე გადაანგარიშების გზით.

მუხლი 5. დაზღვევის სექციები

1. წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებს, საქართველოს ტერიტორიაზე, სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის შემდეგ სექციებს:

A. სატრანსპორტო საშუალების ძარის დაზღვევა;

B. მესამე პირთა წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;

C. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის დაზღვევა.

2. დაზღვევის რომელიმე სექციის (A), (B), (C) ლიმიტის ამოწურვა არ იწვევს სხვა სექციების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებისაგან გათავისუფლებას და შესაბამისად, ხელშეკრულების გაუქმებას. მზღვეველი ვალდებულია განაგრძოს სადაზღვევო მომსახურების გაწევა დანარჩენი სადაზღვევო სექციების ლიმიტების ფარგლებში.

ნაწილი II

მუხლი 1. (A) სატრანსპორტო საშუალების ძარის დაზღვევის პირობები

1. სატრანსპორტო საშუალების ძარის დაზღვევა გულისხმობს, სატრანსპორტო საშუალების ნაწილობრივი ან სრული დაზიანებით (განადგურებით), აგრეთვე სატრანსორტო საშუალების ან მისი ნაწილების დაკარგვით/დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას;

2. ნაწილობრივ დაზიანებად ითვლება სატრანსორტო საშუალების ზიანი, რომელიც ექვემდებარება შეკეთება/აღდგენას და რომლის შეკეთება/აღდგენის ღირებულება ნაკლებია ხელშეკრულებაში მითითებული საბალანსო ღირებულების 70%-ზე;

3. სრულ დაზიანებად (განადგურებად) ჩაითვლება:
ა) სატრანსპორტო საშუალების ზიანი, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას (სრული განადგურება/ტოტალი).
ბ) სატრანსორტო საშუალების ზიანი, რომლის აღდგენა/შეკეთების ღირებულება ერთჯერადად ხელშეკრულებაში მითითებული საბალანსო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს (სრულიგანადგურება/ტოტალი);
გ) ზარალი, რომელიც გამოწვეულია სატრანსორტო საშუალების დაკარგვით;

მუხლი 2. სატრანსპორტო საშუალების ძარის ნაწილობრივი ზიანი

1. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად სატრანსპორტო საშუალების ნაწილობრივი დაზიანების ან/და მისი ნაწილების დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია, უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებულ მდგომარეობაში დაბრუნებისათვის საჭირო თანხების ანაზღაურება;

2. იმ შემთხვეაში, თუ სატრანსპორტო საშუალების ღირებულებაში გათვალისწინებულია დამატებითი (საპოლიციო, სამედიცინო ან სხვა) აღჭურვილობა, აღნიშნული დაზღვევა უნდა გავრცელდეს დამატებით აღჭურვილობაზეც;

3. ხელშეკრულების გაფორმებისას დამზღვევი და მზღვეველი განსაზღვრავენ იმ სერვის-ცენტრ(ებ)ის ჩამონათვალს, რომელშიც სადაზღვევო შემთხვევის შედეგად

უნდა განხორციელდეს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების შეფასება/შეკეთება/აღდგენითი სამუშაოები. ხელშეკრულების მიმდინარეობის პროცესში ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია სერვის-ცენტრების ჩამონათვალში ცვლილებების განხორციელება;

4. მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება სადაზღვევო თანხის ფარგლებში;

5. ზარალის შეფასებისა და შესაბამისი დეფექტური აქტის შედგენის მიზნით, ხორციელდება სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერება შეთანხმებულ სერვის-ცენტრ(ებ)ში, დამზღვევისა და მზღვეველის წარმომადგენელთა თანდასწრებით;

6. იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება შესაბამისი მარკის სერვის-ცენტრში, ხოლო იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც არ ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებულ შემკეთებელ სერვის-ცენტრ(ებ)ში;

7. დეფექტური აქტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებების ან მათი ნაწილების აღდგენისათვის ან შეცვლისათვის საჭირო თანხების შესახებ;

8. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველსა და შესაბამის სერვის-ცენტრს შორის სატრანსპორტო საშუალებების საგარანტიო მომსახურების თაობაზე გაფორმებული არის ხელშეკრულება სატრანსპორტო საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების შესახებ და თუ ამგვარ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არის დაზიანებული ნაწილის/მომსახურების ფასი, მზღვეველი გადაიხდის თანხას არაუმეტეს ამგვარი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასისა;

9. მომხდარი შემთხვევის განხილვის მიზნით, მზღვეველი ვალდებულია სამართალდამცავი ორგანოებისა თუ სხვა მესამე პირებისაგან გონივრულ ვადაში მოიპოვოს ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის დეფექტური აქტი. სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტის და ზიანის ოდენის განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველა დოკუმენტის მოძიებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში აღიაროს შემთხვევა, როგორც სადაზღვევო შემთხვევა და შეადგინოს აქტი ზარალის

ანაზღაურების შესახებ (სადაზღვევო შემთხვევის აქტი), ან დასაბუთებული უარი განაცხადოს აღიარებაზე. აქტი ზარალის ანაზღაურების შესახებ დამოწმებული უნდა იყოს მზღვევლისა და დამზღვევის ხელმოწერით;

10. სადაზღვევო ანაზღაურების გადარიცხვა შესაბამისი სერვისცენტრის ანგარიშზე განხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის გაფორმებული სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

11. მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების შეკეთება/აღდგენის ხარჯები, კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო პოლისის A სექციიდან, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დარჩენილი ლიმიტის ფარგლებში;

12. მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, ანაზღაურების გაცემის შემდგომ, დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ნაწილებზე საკუთრების უფლება გადაეცემა მზღვეევლს;

13. არაუმეტეს 5 წლის წლოვანების სატრანსპორტო საშუალებების (თუ იმყოფებიან საგარანტიო პირობებებზე) ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოში არსებული კონკრეტული მარკის ავტორიზირებულ სერვის ცენტრ(ებ)ში, ხოლო დანარჩენი სატრანსპორტო საშუალებები მათი სპეციფიკის მიხედვით იმ სერვის ცენტრ(ებ)ში, რომელთა ნუსხაც ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 5 სამუშაო დღის ვადაში შეთანხმდება დამზღვევთან;

14. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა 10%-ით ან/და მეტით ნაკლებია დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, მაშინ, მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და საბაზრო ღირებულების შეფარდების შესაბამისად.

მუხლი 3. სატრანსპორტო საშუალების ძარის სრული განადგურება (ტოტალი)

1. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, სატრანსპორტო საშუალების სრული ზარალის (განადგურების) ან დაკარგვის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია, გასცეს ანაზღაურება დამზღვევის სასარგებლოდ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ფულადი ან არაფულადი ფორმით.

ა) ფულადი ანაზღაურების შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულებაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულების ოდენობით სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის დარჩენილი ლიმიტის ფარგლებში.

ბ) არაფულადი ფორმით ანაზღაურების შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია დამზღვევის სასარგებლოდ შეიძინოს განადგურებული ან დაკარგული სატრანსორტო საშუალების ღირებულების მქონე ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დარჩენილი ლიმიტის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს კონკრეტული სატრანსპორტო საშუალებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლომდე განსაზღვრული პრემია;

2. ხელშეკრულების გაფორმებისას დამზღვევი და მზღვეველი განსაზღვრავენ იმ სერვის-ცენტრ(ებ)ის ჩამონათვალს, რომელშიც სადაზღვევო შემთხვევის შედეგად უნდა განხორციელდეს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების შეფასება სრული განადგურების (ტოტალის) დადგენის მიზნით. ხელშეკრულების მიმდინარეობის პროცესში ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია სერვის-ცენტრების ჩამონათვალში ცვლილებების განხორციელება;

3. მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები სადაღვევო თანხის ფარგლებში;

4. ზარალის შეფასებისა და შესაბამისი დეფექტური აქტის შედგენის მიზნით, ხორციელდება სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერება შეთანხმებულ სერვის-ცენტრ(ებ)ში, დამზღვევისა და მზღვეველის წარმომადგენელთა თანდასწრებით;

5. იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება შესაბამისი მარკის სერვის-ცენტრში, ხოლო იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც არ ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებულ შემკეთებელ სერვის-ცენტრ(ებ)ში;

6. წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის II ნაწილის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის „ა" და "ბ" ქვეპუნტებით გათვალისწინებულ სრული განადგურების შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ჩაატაროს ექსპერტიზა სსიპ ლევან

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ან აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს (აკრედიტაციის ცენტრი) მიერ აკრედიტირებულ პირთან ან ურთიერთშეთანხმებით სხვა პირთან, რომლის დასკვნის გათვალისწინებაც სავალდებულოა ორივე მხარისათვის. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს ექსპერტიზის მომთხოვნი მხარე;

7. დეფექტური აქტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებების ან მათი ნაწილების აღდგენისათვის ან შეცვლისათვის საჭირო თანხების შესახებ;

8. მომხდარი შემთხვევის განხილვის მიზნით, მზღვეველი ვალდებულია სამართალდამცავი ორგანიებისა თუ სხვა მესამე პირებისაგან გონივრულ ვადაში მოიპოვოს ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის დეფექტური აქტი და აღნიშნულიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში აღიაროს შემთხვევა, როგორც სადაზღვევო შემთხვევა და შეადგინოს აქტი ზარალის ანაზღაურების შესახებ (სადაზღვევო შემთხვევის აქტი), ან დასაბუთებული უარი განაცხადოს აღიარებაზე. აქტი ზარალის ანაზღაურების შესახებ დამოწმებული უნდა იყოს მზღვევლისა და დამზღვევის ხელმოწერით;

9. სატრანსპორტო საშუალებების სრული განადგურებისას ფულადი ანაზღაურების შემთხვევაში, მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულების ოდენობით, სადაზღეევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დარჩენილი ლიმიტის ფარგლებში;

10. სატრანსპორტო საშუალებების სრული განადგურებისას არაფულადი ანაზღაურების შემთხვევაში, სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით ადგილობრივ ბაზარზე შეუძლებელია განადგურებული ავტომობილის ანალოგიური ტექნიკური მონაცემების მქონე სატრანსპორტო საშუალების მოძიება), მზღვეველსა და დამზღვევს შორის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე (თანხმდება მისაწოდებელი სატრანსპორტო საშუალების ზუსტი ტექნიკური მახასიათებლები, მოდელი, მარკა, მწარმოებელი და სხვა, და მიწოდების კონკრეტული ვადები), ვალდებულია გაუფორმოს მიმწოდებელ კომპანიას სამმხრივი ხელშეკრულება, სადაც ამნაზღაურებლად დაფიქსირდება მზღვეველი, ხოლო მიმღებად - დამზღვევი. მზღვეველს ეძლევა საშუალება მესამე პირისა და სამხრივი ხელშეკრულების გარეშე, მხარეებს შორის გაფორმებული შესაბამისი

ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს დამზღვევს ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალება;

11. დამზღვევის სატრანსპორტო საშუალებით დაკმაყოფილება უნდა მოხდეს არანაკლებ კონკრეტული დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულების ოდენობის ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დარჩენილი ლიმიტის გათვალისწინებით;

12. წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის II ნაწილის, 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის „ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სრული განადგურების შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდგომ, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს მას საკუთრების უფლება განადგურებულ ავტოსატრანსპორტოსაშუალებაზე;

13. დამზღვევი უფლებამოსილია დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლება არ გადასცეს მზღვეველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურებამდე;

14. სატრანსორტო საშუალების დაკარგვის შემთხვევაში, თუ სატრანსორტო საშუალების პოვნა მოხდება სადაზღვევო ანაზღაურების მიღებამდე, დამზღვევი ვალდებულია დაიბრუნოს ნაპოვნი სატრანსპორტო საშუალება, რა დროსაც მზღვეველი თავისუფლდება სატრანსორტო საშუალების დაკარგვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისაგან;

15. სატრანსორტო საშუალების დაკარგვის შემთხვევაში, თუ სატრანსორტო საშუალების პოვნა მოხდება სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდგომ, დამზღვევი არ არის ვალდებული დაიბრუნოს ნაპოვნი სატრანსპორტო საშუალება. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი არ დაიბრუნებს ნაპოვნ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, იგი ვალდებულია მზღვეველს გადასცეს სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლება. გადაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს აანაზღაურებს მზღვეველი;

16. იმ შემთხვევაში, თუ ნაპოვნი სატრანსპორტო საშუალება ნაწილობრივ ან სრულად დაზიანებულია (განადგურებულია), მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ნაწილობრივი ზარალისა ან სრული ზარალის ანაზღაურების შესაბამისად;

17. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა 10%-ით ან/და მეტით ნაკლებია დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, მაშინ, მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და საბაზრო ღირებულების შეფარდების შესაბამისად.

მუხლი 4. სატრანსორტო საშუალების ძარის დაზღვევის გამონაკლისები

სატრანსორტო საშუალების ძარის დაზღვევა ითვალისწინებს შემდეგ **გამონაკლისებს**, რომელთა შემთხვევაშიც მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზარალი:

ა) დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება სადაზღვევო შემთხვევას;

ბ) ზიანი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას ჰქონდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე და არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად;

გ) ცვეთა, კოროზია, დაჟანგვა, თანდაყოლილი დეფექტი, დეფექტიანი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების გამოყენება;

დ) გაჩერებული დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების დაუდგენელი პირების მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანება/განადგურების შემთხვევები, თუ არ მოხდა მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან დაზიანების აღმოჩენისთანავე დაკავშირება;

ე) თუ გაჩერებული დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება დაზიანდა/განადგურდა დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში, დამზღვევი აღნიშნულის შეტყობისთანავე დაუყოვნებლივ არ დაუკავშირდა მზღვეველს, საპატრულო პოლიციას ან/და დაზიანებული დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე დაძრა ადგილიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაადგილება მოხდა შესაბამისი კომპეტენტური უწყების მითითებით კანონით გათვალისწინებულ შეთხვევაში და მზღვეველის ზეპირსიტყვიერი მითითებით;

ვ) თუ დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენა/შეკეთება განხორციელდება მზღვეველთან შეთანხმების გარეშე;

ზ) საერთო გამონაკლისებით გათვალისწინებული შემთხვევები.

ნაწილი III

მუხლი 1. (B) მესამე პირთა წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

1. მესამე პირთა წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა გულისხმობს მზღვეველის ვალდებულებას გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას მესამე პირის წინაშე წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო;

2. მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის ლიმიტი თითოეულ დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებაზე, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში შეადგნეს არანაკლებ 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს;

3. მზღვეველის მიერ მესამე პირთა სასარგებლოდ ანაზღაურების გაცემის საფუძველია მასა და დამზღვევს შორის წერილობითი შეთანხმება;

4. მესამე პირთა წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურებას ექვემდებარება:

ა) მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი;

ბ) დაზარალებული მესამე პირ(ებ)ის სიცოცლის ან/და ქონების გადასარჩენად, ან ზიანის შესამცირებლად გასაწევი მიზანშეწონილი ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული განხილვის (სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე) ხარჯები და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებების ან/და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში.

5. ჯანმრთელობის ზიანის შემთხვევაში ანაზღაურდება:

ა) გადაუდებელ ამბულატორიულ ან სხვა ტიპის მკურნალობასთან, საავადმყოფოში გადაყვანასთან, საავადმყოფოში ყოფნასთან, გამოკვლევებთან, მედიკამენტების შეძენასთან, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის საჭიროებასთან, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენისა და დამატებითი კვების საჭიროებასთან დაკავშირებული ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;

ბ) დაზარალებულის მიერ მიუღებელი შემოსავალი, რომელიც მან დაკარგა შრომისუნარიანობის შეზღუდვიდან გამომდინარე. შემოსავლის ოდენობა და დაზარალებულის შრომისუნარიანობის შეზღუდვა დადასტურებული უნდა იყოს

შესაბამისი დოკუმენტით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევის შემდგომი 12 თვის განმავლობაში დოკუმენტურად დადასტურებული მისაღები შემოსავლისა;

გ) დაზარალებულის სასარგებლოდ გასაცემი კომპენსაცია, რომელიც გაიცემა მისი ქმედუნარიანობის შეზღუდვის ან/და ორგანოების დაკარგვის გამო. კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება დაზღვევის ამ სახეობისათვის (B) დარჩენილი ლიმიტის ფარგლებში (უკვე გაწეული ხარჯების გამოკლებით): 100%-ით შეზღუდვის მკვეთრად გამოხატული ხარისხის შემთხვევაში, 60%-ით - შეზღუდვის მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხის შემთხვევაში და 30%-ით - შეზღუდვის ზომიერად გამოხატული ხარისხის შემთხვევაში. შეზღუდვის გამოხატვის ხარისხი დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით (დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელთაც აქვთ დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება, საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და ყველა საჭირო დოკუმენტი);

6. მზღვეველი ვალდებულია მესამე პირის წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის დადასტურების შემდგომ, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის მომეტების აღმოსაფხვრელად გასცეს ანაზღაურება მესამე პირის სასარგებლოდ გონივრულ ვადაში, მასთან შეთანხმებული ვადისა და ოდენობის (ლიმიტის ფარგლებში) გათვალისწინებით, ისე რომ მაქსიმალურად იქნეს აცილებული მესამე პირის რაიმე პრეტენზია დამზღვევის მიმართ;

7. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში B სექციის ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:

ა) გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯები;

ბ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ ის შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით) მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევის შემდგომი 12 თვის განმავლობაში დოკუმენტურად დადასტურებული მისაღები შემოსავლისა;

გ) კომპენსაცია, რომელიც გაიცემა გარდაცვლილის მემკვიდრეზე დაზღვევის აღნიშნული სახეობისათვის (B) დარჩენილი ლიმიტის ნაწილის 100%-ის ოდენობით. გარდაცვალების მემკვიდრეზე კომპენსაციის გაცემისას, მზღვეველი სადაზღვევო თანხას აანაზღაურებს დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას (სამკვიდრო მოწმობა);

8. თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაშავდა ან გარდაიცვალა ერთზე მეტი პირი, ხოლო ჯამური ზარალი აჭარბებს მითითებული სახეობისათვის დადგენილ ლიმიტს, თითოეული მხარე მიიღებს ანაზღაურებას საერთო ზარალში მისი წილის შესაბამისად, დარჩენილი სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში.

მაგალითი: ვთქვათ, დაზღვევის აღნიშნული სახეობისათვის განსაზღვრული ლიმიტი შეადგენს 50 000 ₾. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დარჩენილია ლიმიტი 40 000 ₾ (წინა შემთხვევაზე გაიცა 10 000 ₾). სადაზღვევო შეთხვევის შედეგად დაშავდა: მძღოლი, რომლის ზიანის ოდენობა შეადგენს 15 000 ₾, მგზავრი N1 – 10 000 ₾, მგზავრი N2- 20 000 ₾ და მგზავრი N3 – 5 000 ₾. შესაბამისად, საერთო ზარალი შეადგენს 50 000 ₾, რომელშიც მძღოლის ზიანის წილი არის 30%, მგზავრი N1- 20%, მგზავრი N2- 40% და მგზავრი N3 – 10%. ვინაიდან ლიმიტის ფარგლებში დარჩენილია 40 000 ლარი, თითოეული მათგანი მიიღებს 40 000 ₾-ის შესაბამის პროცენტს. მძღოლი (40 000 * 30%= 12 000 ლარს, მგზავრი N1 – 40000x20%=8000; მგზავრი N2 – 16000₾ და მგზავრი N3 –
4000 ₾).

9. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული მესამე პირის სატრანსორტო საშუალების (სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები ნაწილობრივი და სრული დაზიანებისას, მათ შორის სატრანსპორტო საშუალების საჯარიმო სადგომზე გადაყვანის, დგომის და გადმოყვანის ხარჯები. (აღნიშნული ხარჯების დაქვითვა განხორციელდება კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო პოლისის B სექციიდან);

10. მესამე პირისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში, ანაზღაურდება ქონების სრული განადგურების ან ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში, დაკარგული ქონების საბაზრო ღირებულება ან დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთება/აღდგენის ღირებულება ფულადი სახით. აღნიშნულ შემთხვევაში, ანაზღაურების გაცემის ან ჩანაცვლების შემდგომ დაზიანებულ ქონებაზე ან მის ნაწილებზე (ასეთის არსებობისას) საკუთრების უფლება გადაეცემა მზღვეველს;

11. მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა ითვალისწინებს შემდეგ გამონაკლისებს და მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს:

ა) ხარჯები, რომელსაც აღიარებს ან გასწევს დამზღვევი/დაზღვეული მესამე პირის მიმართ მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

ბ) შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად სცნობს სარჩელს ან მის ნაწილს, მზღვეველთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ან

დაზღვეულის წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუსწრებლადაა გამოტანილი;

გ) ზარალი, რომელიც მიადგა დაზღვეული ავტოტრანსორტით ან დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით გადაზიდულ ქონებას;

დ) ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან/გარდაცვალებასთან სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდგომ;

ე) ნებისმიერი ხასიათის მორალური ზიანი;

ვ) საერთო გამონაკლისებით გათვალისწინებული შემთხვევები.

ნაწილი IV

მუხლი 1. (C) სადაზღვევო შემთხვევის ფარგლებში დაზღვეული სატრანსორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევის პირობები.

1. დაზღვეული სატრანსორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობის დაზღვევა გულისხმობს ზარალის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული სატრანსორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობის დაზიანებით ან/და გარდაცვალებით, სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას.
2. დაზღვეული სატრანსორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების დაზღვევის ლიმიტი თითოეულ დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებაზე, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში შეადგნეს არანაკლებ 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს;
3. მზღვეველი ვალდებულია დაზარალებული მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის მომეტების აღმოსაფხვრელად გასცეს ანაზღაურება გონივრულ ვადაში, მათთან შეთანხმებული ვადისა და ოდენობის (ლიმიტის ფარგლებში) გათვალისწინებით;
4. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზღვეული სატრანსორტო საშუალების მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის C სექციის ნაწილში სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურებას ექვემდებარება:

ა) გადაუდებელ ამბოლატორიულ ან სხვა ტიპის მკურნალობასთან, საავადმყოფოში გადაყვანასთან, საავადმყოფოში ყოფნასთან, გამოკვლევებთან, მედიკამენტების შეძენასთან, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის საჭიროებასთან, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენისა და დამატებითი კვების საჭიროებასთან დაკავშირებული ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება. ხარჯების ოდენობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით (დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელთაც აქვთ დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება, საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვა...);

ბ) დაზარალებულის მიერ მიუღებელი შემოსავალი, რომელიც მან დაკარგა შრომისუნარიანობის შეზღუდვიდან გამომდინარე. შემოსავლის ოდენობა და

დაზარალებულის შრომისუნარიანობის შეზღუდვა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტით;

გ) დაზარალებულის სასარგებლოდ გასაცემი კომპენსაცია, რომელიც გაიცემა მისი ქმედუნარიანობის შეზღუდვის ან/და ორგანოების დაკარგვის გამო. კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება დაზღვევის ამ სახეობისათვის (C) განსაზღვრული ლიმიტის დარჩენილი ნაწილის (უკვე გაწეული ხარჯების გამოკლებით): 100%-ით შეზღუდვის მკვეთრად გამოხატული ხარისხის შემთხვევაში, 60%-ით - შეზღუდვის მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხის შემთხვევაში და 30%-ით - შეზღუდვის ზომიერად გამოხატული ხარისხის შემთხვევაში. შეზღუდვის გამოხატვის ხარისხი დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით (დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელთაც აქვთ დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება, საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვა...);

5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ანაზღაურებას ექვემდებარება:

ა) გარდაცვლილის დაკრძალვისხარჯები;

ბ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ ის შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით) მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევის შემდგომი 12 თვის განმავლობაში დოკუმენტურად დადასტურებული მისაღები შემოსავლისა.

გ) კომპენსაცია, რომელიც გაიცემა გარდაცვლილის მემკვიდრეზე დაზღვევის აღნიშნული სახეობისათვის (C) დარჩენილი ლიმიტის 100%-ის ოდენობით. გარდაცვალების მემკვიდრეზე კომპენსაციის გაცემისას, მზღვეველი სადაზღვევო თანხას აანაზღაურებს დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას (სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში);

6. თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაშავდა ან გარდაიცვალა ერთზე მეტი პირი, ხოლო ჯამური ზარალი აჭარბებს დაზღვევის ამ სახეობისათვის დადგენილ ლიმიტს, თითოეული მხარე მიიღებს ანაზღაურებას საერთო ზარალში მისი წილის შესაბამისად, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, წინა პერიოდში გაცემული ანაზღაურების გათვალისწინებით.

მაგალითი: ვთქვათ, დაზღვევის აღნიშნული სახეობისათვის განსაზღვრული ლიმიტი შეადგენს 50 000 ₾. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დარჩენილია ლიმიტი 40 000 ₾ (წინა შემთხვევაზე გაიცა 10 000 ₾). სადაზღვევო შეთხვევის შედეგად დაშავდა: მძღოლი, რომლის ზიანის ოდენობა შეადგენს 15 000 ₾, მგზავრი N1 – 10 000 ₾, მგზავრი N2- 20 000 ₾ და მგზავრი N3 – 5 000 ₾. შესაბამისად, საერთო ზარალი შეადგენს 50 000 ₾, რომლელშიც მძღოლის ზინაის წილი არის 30%, მგზავრი N1- 20%, მგზავრი N2- 40% და მგზავრი N3 – 10%. ვინაიდან ლიმიტის ფარგლებში დარჩენილია 40 000 ლარი, თითოეული მათგანი მიიღებს 40 000 ₾-ის შესაბამის პროცენტს. მძღოლი (40 000 * 30%= 12 000 ლარს, მგზავრი N1 – 40000x20%=8000; მგზავრი N2 – 16000₾ და მგზავრი N3 –
4000 ₾).

7. დაზღვეული სატრანსორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობის დაზღვევა ითვალისწინებს შემდეგ გამონაკლისებს და მზღვეველი უფლებამოსილია არაანაზღაუროს:

ა) ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან/გარდაცვალებასთან სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდგომ;

ბ) ნებისმიერი ხასიათის მორალური ზიანი;

გ) საერთო გამონაკლისებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 2. მესამე პირებისათვის, მძღოლისათვის და მგზავრებისათვის ზიანის ანაზღაურება

1. მზღვეველი ვალდებულია დაზარალებული მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის მომეტების აღმოსაფხვრელად გასცეს ანაზღაურება გონივრულ ვადაში; ხოლო მესამე პირის წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის დადასტურების შემდგომ, გასცეს ანაზღაურება მესამე პირის სასარგებლოდ, მასთან შეთანხმებული ვადისა და ოდენობის (ლიმიტის ფარგლებში) გათვალისწინებით, ისე რომ მაქსიმალურად იქნეს აცილებული მესამე პირის რაიმე პრეტენზია დამზღვევის მიმართ;

2. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემით მზღვეველი თავისუფლდება დამზღვევის წინაშე მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან გადახდილი თანხის ფარგლებში;

3. იმ შემთხვევაში, თუ ზიანის ოდენობა აღემატება სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის დარჩენილი სადაზღვევო ლიმიტის ოდენობას, მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურებას განახორციელებს არაუმეტეს დარჩენილი სადაზღვევო ლიმიტის ოდენობით;

4. თუ დამზღვევსა (დაზღვეულს) და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარი შემთხვევის გამო, მზღვეველი აანაზღაურებს ზარალს სასამართლო გადაწყვეტილების (დაზღვეულის/უფლებამოსილი მძღოლის/ მიერ მესამე პირისათვის (პირებისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) კანონიერ ძალაში შესული გადაწვეტილების წარმოდგენის მომენტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულ შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია ანაზღაურება გასცეს სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დადგენილი პირობებისა და ოდენობით სადაზღვევო პოლისის ფარგლებში. ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად სცნობს სარჩელს ან მის ნაწილს მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე ან მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

5. B და C სექციით გათვალისწინებულ სადაზღვევო დაფარვებზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გარდა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის I ნაწილის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტებისა, დამზღვევი ვალდებულია, მზღვეველს წარუდგინოს ასევე შემდეგი დოკუმენტები (თუ მოსარგებლის მიერ არ მომხდარა ასეთი დოკუმენტების მზღვეველისათვის წარმოდგენა):

ა) დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის გაკეთებული შეტყობინება დაზარალებული მესამე პირ(ებ)ის არსებობისა და მის მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;

ბ) დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებებიდან, რომელთაც დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება აქვს (საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვა);

გ) თუ დაზღვეულის გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, სადაზღვევო ანაზღაურებას იღებს სხვა პირი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას, არის სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში;

დ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულსა და დაზარალებულს შორის, მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად

ცნობს სარჩელს ან მის ნაწილს, მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

ე) მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი.

შენიშვნა:

- ფრანჩიზა - 0%
- მზღვეველი ვალდებულია არ გამოიყენოს რეგრესის უფლება ერთი და იგივე შემსყიდველი ორგანიაციის ერთი და იგივე საიდენტიფიკაციო კოდის მქონე შემსყიდველი ორგანიზაცია თანამშრომლის მიმართ.
- ნაწილობრივი ან სრული ზიანის შემთხვევაში, შესაძლოა მხარეთა მიერ, ზიანის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, მოთხოვნილი იქნეს ექსპერტიზის დასკვნა. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს ექსპერტიზის მომთხოვნი მხარე.
- იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულსა და დაზარებულ მესამე პირს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, მზრვეველის მიერ ანაზღაურების გაცემის საფუძველია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნულ შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია ანაზღაურება გასცეს სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დადგენილი პირობებითა და ოდენობით, სადაზღვევო პოლისის ფარგლებში.

#	მარკა	მოდელი	გამოშ. წელი	სახ. ნომერი	სადაზღვევო თანხა	ვინ კოდი	მოდიფიკაცია	2019 წელს გარანტი	ჯამური პრემია 169 დღე (16.07.2019-დან 31.12.2019-მდე)
1	volkswagen	jetta	2007	RHR121	**10045**	**3VWJM71K58M060881**	ქარხნული(მოდ.გარეშე)	**არა**	**GEL 131,54**